



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№944 2016 წლის 27 მაისი ქ.თბილისი

„თვლიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის და იმ მოწყობილობების და ნაწილების საგნებისათვის, რომლებიც შესაძლებელია დაყენდეს ან/და გამოყენებულ იქნეს თვლიან სატრანსპორტო საშუალებებზე, ერთგვაროვანი ტექნიკური მიწერილობების მიღების და

ამ მიწერილობების საფუძველზე გაცემული ოფიციალური დამტკიცების ურთიერთალიარების პირობების შესახებ შეთანხმების“ საქართველოში იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

1. „თვლიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის და იმ მოწყობილობების და ნაწილების საგნებისათვის, რომლებიც შესაძლებელია დაყენდეს ან/და გამოყენებულ იქნეს თვლიან სატრანსპორტო საშუალებებზე, ერთგვაროვანი ტექნიკური მიწერილობების მიღების და ამ მიწერილობების საფუძველზე გაცემული ოფიციალური დამტკიცების ურთიერთალიარების პირობების შესახებ შეთანხმების“ საქართველოში იმპლემენტაციისათვის აუცილებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №201 განკარგულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული სამოქმედო გეგმა.

2. სამოქმედო გეგმაში მითითებულმა სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ საკითხების შესრულება შესაბამისი ვადების დაცვით.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი

„თვლიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის და იმ მოწყობილობების და ნაწილების საგნებისათვის, რომლებიც შესაძლებელია დაყენდეს ან/და გამოყენებულ იქნეს თვლიან სატრანსპორტო საშუალებებზე, ერთგვაროვანი ტექნიკური მიწერილობების მიღების და ამ მიწერილობების საფუძველზე გაცემული ოფიციალური დამტკიცების ურთიერთადიარების პირობების შესახებ შეთანხმების“ საქართველოში იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა

№	საკითხის დასახელება	განსახორციელებელი ღონისძიებები	შემსრულებელი	შესრულების ვადა	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1.	„თვლიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის და იმ მოწყობილობების და ნაწილების საგნებისათვის, რომლებიც შესაძლებელია დაყენდეს ან/და გამოყენებულ იქნეს თვლიან სატრანსპორტო საშუალებებზე, ერთგვაროვანი ტექნიკური მიწერილობების მიღების და ამ მიწერილობების საფუძველზე გაცემული ოფიციალური დამტკიცების ურთიერთადიარების პირობების შესახებ შეთანხმების“ საქართველოში იმპლემენტაციისათვის აუცილებელი პირველი რიგის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება	შეთანხმების საქართველოში იმპლემენტაციისათვის აუცილებელი პირველი რიგის საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტების მომზადება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა ტექნიკური რეგლამენტების პროექტების შემუშავება და საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“	ეტაპობრივად	

1	2	3	4	5	6
2.	კომპეტენტური ორგანოს სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციების განსაზღვრა	კომპეტენტური ორგანოს ბრძანების შემუშავება რეგლამენტის (ან ბრძანების) პროექტის შემუშავება „თვლიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის და იმ მოწყობილობების და ნაწილების საგნებისათვის, რომლებიც შესაძლებელია დაყენდეს ან/და გამოყენებულ იქნეს თვლიან სატრანსპორტო საშუალებებზე, ოფიციალური დამტკიცების პროცედურების შესახებ“	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2 თვე	
3.	ტიპის აღიარების ორგანოს სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციების განსაზღვრა	ტიპის აღიარების ორგანოს ბრძანების შემუშავება (ან რეგლამენტის) და პროცედურების განსაზღვრა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“	3 თვე	
4.	საქართველოსათვის გეოგრაფიული ზონისა და ქვეყნის კოდის მინიჭების (საწარმოების (ქარხნების) კოდიფიცირებისათვის) უზრუნველყოფა	ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის VIN კოდის მინიჭებისათვის საჭირო პროცედურების დანერგვა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“ სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“	9 თვე	

1	2	3	4	5	6
5.	საქართველოს კანონმდებლობაში შეთანხმების დანართების (ე.წ. „გაეროს წესების“) ეტაპობრივი უზრუნველყოფა ასახვის	დასანერგი დანართების (წესების) პრიორიტეტულობის დადგენა და შესაბამისი აქტების საკანონმდებლო შემუშავება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ „შემოსავლების სამსახური“ სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო“ სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“ სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო“	ეტაპობრივად	